პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ დეკემბერი, 2024 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება (ბინები) თანახმად დანართისა.
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების (ბინების) საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 23 დეკემბრის N11961/02 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი ,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2024 წლის 02 თებერვლის N37 ოქმით, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული, 1) ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი, გოგოლიშვილის ქ.N25-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.33.22.032) არსებული ბინა N1 - 76,36 კვ.მ. ფართის (ს/კ: 05.33.22.032.01.508); 2) ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი, გოგოლიშვილის ქ. N4-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.33.22.051) არსებული ბინა N7 - 123,99 კვ.მ. ფართის (ს/კ: 05.33.22.051.01.007); 3) ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი, გოგოლიშვილის ქ.N26-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.33.22.017) არსებული ბინა N3 - 27,00 კვ.მ. ფართის (ს/კ 05.33.22.017.01.003) და 4) ქ. ბათუმი, დაბა ჩაქვი, გოგოლიშვილის ქ.N30-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.33.22.065) არსებული ბინა N2 - 104,12 კვ.მ. ფართის (ს/კ: 05.33.22.065.01.002) ფაქტობრივ მფლობელებზე საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი.

აღინიშნა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ამ ფართების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის შემთხვევაში არსებობს კომისიის მიერ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი და აქედან გამომდინარე, 2024 წლის 02 თებერვლის N27 რეკომენდაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონებების (ს/კ: 05.33.22.032.01.508; (ს/კ: 05.33.22.051.01.007; ს/კ 05.33.22.017.01.003; ს/კ: 05.33.22.065.01.002) სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვისა და შემდგომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, შემდგომში იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით. ამასთან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნული ქონებები დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ბინების - თანახმად დანართისა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ რეკომენდაციის თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინების/ფართების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა იქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადასაცემად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**